ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3273905

ნომერი: AR1503486

თარიღი : 15.05.2017

გაცემის თარიღი : 22.05.2017

გაცნობის თარიღი : 22.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეკინის ქუჩა N15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კირკიტაძე პ/ნ 21001003577
- ვაჟა ფშაველას 23 ბ 18

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1503486 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, დანართის სახით წარმოდგენილი ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.10.13.026.023-ის მიმდებარედ) შესყიდვასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია (საკადასტრო კოდი: #01.10.13.026.023-ის მიმდებარედ) მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით მოშენებულ, სისტემურად ჩამოყალიბებულ განაშენიანებაში და წარმოადგენს საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი სივრცის ნაწილს, რომლის გასხვისება არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილად არ მიაჩნია. აქედან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

---

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.